ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ

კავკასიის ბარომეტრი რეგულარული გამოკითხვაა, რომლის მიზანია სანდო და ერთმანეთთან შესადარი მონაცემების შეგროვება ოჯახების ეკონომიკურ ქცევასა და სოციალურ შეხედულებებზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. გამოკითხვა 2004 წლიდან ტარდება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ქვეყნების წარმომადგენლობითი მონაცემები ხელმისაწვდომია 2008 წლიდან (2010 წლამდე გამოკითხვის სახელწოდება იყო მონაცემთა ინიციატივა). 2015, 2017, 2019, 2021 და 2024 წელს კავკასიის ბარომეტრი მხოლოდ საქართველოსა და სომხეთში ჩატარდა.

მოსახლეობა: საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წელი და ზემოთ), ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი

შერჩევის დიზაინი: სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა.

დასრულებული ინტერვიუების რაოდენობა: 1,509 რესპონდენტი

გამოპასუხების რაოდენობა: 23%

გამოკითხვის მეთოდი: კომპიუტერის მეშვეობით პირისპირი გამოკითხვა (CAPI).

ინტერვიუს ენები: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული.

საველე სამუშაოების თარიღები: 16 აპრილი - 13 მაისი, 2024.

შედეგები შეწონილია.

მთავარი მკვლევარი: თამარ ხოშტარია, უფროსი მკვლევარი და კავკასიის ბარომეტრის პროექტის კოორდინატორი.

დამატებითი ინფორმაციის შემთხვევაში: თამარ ხოშტარია, tamuna@crrccenters.org